# საქართველოს ფალავანთა მონაგარი საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობებზე

● **ძიუდო.** სსრ კავშირის ჩემპიონატი. მინსკი.

**ოქროს მედლები** — კობა კურტანიძე (95 კგ; პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, გორი), გიორგი თენაძე (71 კგ; ასკ, თბილისი), ავთანდილ გუბელაძე (აბსოლუტური წონა; „დინამო", ქუთაისი), ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ; პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ასკ, თბილისი).

**ვერცხლის მედლები** — ანზორ თენაძე (86 კგ; ასკ, თბილისი), ვლადიმერ დგებუაძე (71 კგ; „დინამო", სოხუმი), დავით ხახალეიშვილი (აბსოლუტური წონა; „დინამო", ქუთაისი).

**ბრინჯაოს მედლები** — ლერი ჟორჟოლიანი (95 კგ; პროფკავშირები, მარნეული), ავთანდილ გუბელაძე (მძიმე წონა), ვალერი პარუნაშვილი (მძიმე წონა; „დინამო", თბილისი), დავით ბაგაური (86 კგ; „დინამო", ახმეტა), მიხეილ ხუმარაძე (აბსოლუტური წონა; პროფკავშირები, გორი), ბათო ჯიქური (71 კგ; ასკ, თბილისი).

● **თავისუფალი ჭიდაობა.** საერთაშორისო ტურნირი. თბილისი.

**ოქროს მედლები** — გოჩა მაკოევი (62 კგ; „შრომითი რეზერვები", ასკ, თბილისი), ზაზა თურმანიძე — (130 კგ; ასკ, სპორტული სკოლა-ინტერნატი, თბილისი, საჩხერე).

**ვერცხლის მედლები** — ზურაბ ტატუაშვილი (52 კგ; ასკ, თბილისი), ებია მუსოიანი (57 კგ; „დინამო", სოხუმი), გოჩა გაბოძე (68 კგ; „დინამო", თბილისი, კასპი), ეროსი ელოშვილი (74 კგ; ასკ, თბილისი), ზაზა ტყეშელაშვილი (100 კგ; „შრომითი რეზერვები", სპორტული სკოლა-ინტერნატი, თბილისი, საჩხერე).

**ბრინჯაოს მედლები** — ავთანდილ გოგოლიშვილი (82 კგ; „შრომითი რეზერვები", სპორტული სკოლა-ინტერნატი, თბილისი, ჩოხატაური), მამუკა რაზმაძე (90 კგ; „შრომითი რეზერვები", თბილისი, ონი).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

31 იანვარი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 21 (9940) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




ამირან ტოტიკაშვილი



გია თენაძე



ავთანდილ გუბელაძე

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი გიორგი ჩოჩიშვილი მინსკიდან გვატყობინებს

# დიდი გამარჯვება

**საბჭოთა** კავშირის XVII ჩემპიონატი ძიუდოში ქართველ ფალავანთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ისინი უძლიერესნი იყვნენ გუნდურ პირველობაში, ხოლო პირად შეჯიბრებაში გათამაშებული 32 მედლიდან მესამედზე მეტი — 13 ჯილდო — საქართველოში „დაიდებს ბინას", მათგან ოთხი — უმაღლესი სინჯის — ოქროსია. ესე იგი, უმაღლესი ჯილდოები თანაბრად გაიყვეს საქართველოსა და დანარჩენი რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის მოჭიდავეებმა.

ასეთია ჩვენი გუნდის გამოსვლის საერთო ბალანსი, რომელიც მრავალი ცალკეული წარმატებით არის „შეფერადებული"...

ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, თითქმის სრულ სიჩუმეში ჩატარდა გადამწყვეტი ორთაბრძოლა 71 კგ წონით კატეგორიაში. ფინალში ქართველი მოჭიდავეები — გორელი გია თენაძე და სოხუმელი ვლადიმერ დგებუაძე შეხვდნენ ერთმანეთს. ჩვენს მწვრთნელებს სიტყვა როგორ მოუბრუნდებოდათ რჩევა-დარიგების მისაცემად, ხოლო მაყურებლისთვის სულ ერთი იყო, ვინ გაიმარჯვებდა.

დგებუაძეს ამ ჩემპიონატის წინ გამართულ საკონტროლო შეხვედრებში შესანიშნავი შთაბეჭდილება დაუტოვებია და მხოლოდ ჩვენმა მწვრთნელებმა იცოდნენ, რა „ნაღმებს" უმზადებდნენ მეტოქეებს. სწორედ ასეთი სტილის მოჭიდავეები გამოაჩენენ ძიუდოს მთელ სილამაზეს — 18 წლის სოხუმელმა ფალავანმა ოთხივე შეხვედრა ლამაზი გდებით მოიგო და აღტაცებაში მოიყვანა ყველა.

გია თენაძის ავტორიტეტი ეჭვს აღარ იწვევს. მაღალი ოსტატობა და სტაბილურობა მისი წარმატებების საწინდარია. მან შეჯიბრებებით სავსე შარშანდელ სეზონში სამოცსამი შეხვედრა წააგო, ისიც ორი მსაჯთა გადაწყვეტილებით.

ახლაც ძალზე ყურადღებით, მართლაც გამოცდილი ოსტატის საკადრისად ჩაატარა ფინალური შეხვედრა და სძლია თავის ახალგაზრდა მეტოქეს. მისი უპირატესობა ვაზარით გამოიხატა.

ამრიგად, 26 წლის არმიელმა სპორტსმენმა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი შემატა „ოჯახურ კოლექციას". როგორც იცით, წინა დღეს ვერცხლის მედალი მოიპოვა მისმა უფროსმა ძმამ ანზორმა, ხოლო დგებუაძის მეორე ადგილი დიდი წარმატებაა ჩემპიონატის დებიუტანტისთვის.

ცოტაც და, ამ წონაში (71 კგ) მთელს კვარცხლბეკს ჩვენი ფალავნები „დაისაკუთრებდნენ". ერთის — წაგებულის გარდა — შესანიშნავად ჩაატარა ყველა შეხვედრა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ბათო ჯიქურმა (მწვრთნელი სულიკო ფეიქრიშვილი). მან დუშეთში დაიწყო ვარჯიში და ამჟამად თბილისის სახელით გამოდის. ჯიქურმა ულამაზესი ილეთით დაამთავრა გადამწყვეტი შეხვედრა ლენინგრადელ მახაჩ აბდულაევთან და ვადამდე გაიმარჯვა.

19 წლის ზურაბ ონიანს ერთი ნაბიჯი არ ეყო მედლამდე — სამი მოგებული შეხვედრის შემდეგ (1 წააგო), ვეღარ შეძლო პოლონელ მურად ტიულპაროვის დამარცხება, რომელმაც საპატიო კვარცხლბეკზე სამი ქართველი ძიუდოისტის გვერდით დაიკავა ადგილი.

შეჯიბრების ბოლო დღის წინ საქართველოს და რსფსრ-ის გუნდებს 24-24 ქულა ჰქონდათ, მაგრამ, ფაქტობრივად, ნათელი იყო, რომ ჩვენი მოჭიდავეები გაიმარჯვებდნენ, რადგან მათ 60 კგ და აბსოლუტურ წონაში უკეთესი სპორტსმენები ჰყავდათ. ამასთან, გრიგორი ვერიჩევი ტატამზე აღარ გამოსულა.

მაგრამ ჩანაფიქრს ასრულება უნდა. აბსოლუტურ წონაში ჯერ კიდევ მეორე წრის შემდეგ გახდა ნათელი, რომ „ა" ჯგუფიდან ფინალში აუცილებლად ქართველი სპორტსმენი გავიდოდა — ოთხივე მათგანმა წყვილ-წყვილი გამარჯვება მოიპოვა — გორელმა მიხეილ ხუმარაძემ, ქარელელმა გელა ბერუაშვილმა (ორივემ — წმინდად) და ქუთაისელებმა აკაკი კიბორძალიძემ და დავით ხახალეიშვილმა.

შემდეგ ხუმარაძემ „ხანტეით" მოუგო კიბორძალიძეს, ხოლო ხახალეიშვილმა ვადამდე სძლია ბერუაშვილს და ასევე წმინდად დაამარცხა ხუმარაძე. ქუთაისელი ფალავანი, რომელსაც ჯერ 18 წელიც არ შესრულებია, ქვეყნის ჩემპიონატის ფინალში გავიდა. არადა, მისი გამოყვანა აბსოლუტურ წონაში არ იყო ნავარაუდევი, მაგრამ გუ-

იხ. მე-3 გვ.

## თბილისის XXVIII საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

# კანონი ყველასათვის კანონია

**ახალი** წესები ერთბაშად სასურველ ნაყოფს, ცხადია, ვერ გამოიღებს. მას სათანადო დაკვირვება სჭირდება, გააზრება და შეჩვევა. მაგრამ თბილისის საერთაშორისო ტურნირს ამ სიახლეთა სასიკეთო გავლენა მაინც დაეტყო. ადრეც აღვნიშნეთ და ახლაც ვიმეორებთ, რომ საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) მიერ რეკომენდებული ცვლილებები უმთავრესად პასიური ბრძოლის წინააღმდეგ არის მიმართული და ჭიდაობის სანახაობრიობის გაზრდას ისახავს მიზნად. როგორ აქვს ფილა-ს წარმოდგენილი ეს სიახლეები თბილისის ტურნირის შეხვედრათა მაგალითზე ვნახეთ, განსაკუთრებით ფინალურ ორთაბრძოლებში.

პასიურობას ჭიდაობაში მუდამ ებრძოდნენ ხან მკაცრად, ხან ზერელედ, მაგრამ უფრო ხშირად ეს ბრძოლა კამპანიური იყო და ბოლოს სიმძაფრეს ჰკარგავდა. ახლა, ყოველ შემთხვევაში ფილა-ს ერთ-ერთი პირველი ოფიციალური ტურნირის მაგალითზე, მან უფრო შეუვალი და კატეგორიული ხასიათი მიიღო. პასიურობის ნებისმიერი გამოვლენა ისჯება მკაცრად-წინასწარ შეხვედრებშიც და ფინალებშიც, ახალგაზრდებშიც და ტიტულოვან მოჭიდავეებშიც. კანონი ყველასათვის კანონია.



გოჩა მაკოევის (მარცხნივ) ეფექტური ილეთი.

მეტსაც გეტყვით, 90 კგ წონითი კატეგორიის ფინალში პასიურობისთვის გამარჯვების ორთავე პრეტენდენტი მოიხსნა და პირველი ადგილი გაუთამაშებელი დარჩა. უპრეცენდენტო შემთხვევაა, მაგრამ ახალი წესებიდან გამომდინარე. ფინალი კი აქ მართლაც უაღრესად მძაფრი იყო. საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა ვაგიფ კაზიბეკოვმა და შამილ აბდურახმანოვმა ბრძოლისთვის განკუთვნილ ხუთ წუთში, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად, ყველაფერი იღონეს, მაგრამ ერთმანეთს მხოლოდ თითო ქულა დაათმობინეს. წესისამებრ დაინიშნა დამატებითი დრო პირველ ქულამდე და აი, სწორედ აქ საქმეში ჩაერია ფილა-ს ტექნიკური დელეგატი, დასავლეთგერმანელი ვერნერ შუსტერი. მისი გადაწყვეტილებით ორივე ფინალისტი მოიხსნა. მიზეზი? დამატებითი პერიოდის ერთ წუთსა და 45 წამში ვერც ერთმა მოჭიდავემ ტექნიკური ქულა ვერ აიღო. აი, როგორ სიმკაცრეს გულისხმობს ფილა-ს ახალი წესები. შეჯიბრების ბოლო დღეს ნახევარფინალურ შეხვედრებში კიდევ სამი მოჭიდავის მიმართ გამოიყენეს ასეთი სანქცია.

თბილისის საერთაშორისო ტურნირში, სხვა ანალოგიური შეჯიბრებების მსგავსად, საპრიზო ადგილის დაკავება ყოველი ქვეყნიდან მხოლოდ ერთ მოჭიდავეს (ცხადია, საუკეთესოს) შეუძლია. ამ წესს აქვს თავისი გამართლება. ტურნირის მასპინძლებს, ტრადიციულად, უფრო მეტი მონაწილე გამოჰყავთ და ასეთი შეზღუდვა ერთგვარად ათანაბრებს ძალებს. მაგრამ სწორედ ამის გამო, ფინალის ზოგიერთი მონაწილე პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. რას იზამ, წესი ამ შემთხვევაშიც წესია. ყველა საერთაშორისო ტურნირი ამ სისტემით ტარდება.

ახლა კი უფრო დაწვრილებით ფინალურ შეხვედრებზე.

**48 კგ.** ლი ხოკ სონი (კსდრ) — ნორაირ გევორქიანი (სსრ კავშირი).

იხ. მე-3 გვ.



შეტევაზეა ზაზა თურმანიძე (მარცხნივ).

# განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვმართებს

**გრძელდება** საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელებთან სპორტის ცალკეული სახეობების შემდგომი განვითარების პერსპექტიული ამოცანების განხილვა. ამჯერად დღის წესრიგში იყო ჭადრაკი. აღინიშნა, რომ დღეს, როცა საჭადრაკო ხელოვნება უმაღლეს დონეზე ავიდა, როცა სპორტის ეს სახეობა ძალზე პოპულარული გახდა მთელს მსოფლიოში და გამოჩნდნენ ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენები, ჩვენს მოჭადრაკეებს, მწვრთნელებს და ორგანიზატორებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მართებთ. მორიდებულად ეს ითქმის ქალთა ჭადრაკზე. ახლა გადაუდებელი ამოცანაა კონკრეტული და მიზანმიმართული მუშაობით ვუზრუნველყოთ მზადება, ღრმად ჩავწვდეთ ყველა ნიუანსს, პერსპექტიულ მოჭადრაკეებთან უნდა იმუშაონ საუკეთესო მწვრთნელებმა. ნაკრებ გუნდებს და თითოეულ სპორტსმენს უნდა შევუქმნათ ყოველგვარი პირობები უკეთ მომზადებისათვის.

• • •

**ბუშინ** დემოკრატიის გზით პირველად ჩატარდა ქვეყნის ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელების არჩევნები. სსრ კავშირის ვაჟ კალათბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელი გახდა „ჟალგირისის" მწვრთნელი ვლადას გარასტასი, ქალებისა — ევგენი გომელსკი.

მანამდე კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს ალექსანდრე გომელსკი, რომელიც ამჟამად უცხოეთში მუშაობს და შინ მაისში დაბრუნდება.

ჩვენი ენა, ქართული

# საფუძველი თუ ჩაეყარა...

**შარშან**, წლის ბოლოს, „ლელო“ იუწყებოდა, რომ შეიკრიბა ფიზკულტურისა და სპორტის დარგობრივი ტერმინოლოგიის შემუშავების განახლებული კომისია, რომელმაც ყველას მოუწოდა თანამშრომლობისკენ. სიამოვნებით ვეხმაურები ამ წინადადებას.

ჩემი აზრით, ტერმინოლოგიის შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს ორი პრინციპი — ენის განახლება ისტორიული წიაღიდან და სტანდარტული სიტყვათწარმოქმნის წესების შემუშავება (ამ შემთხვევაში, ცხადია, ვგულისხმობთ სპორტულ ტერმინოლოგიას).

რაც შეეხება პირველ პრინციპს, აქ ალბათ სამი ძირითადი წყარო არსებობს: 1. ლიტერატურული ენის დაუტვირთავი მარაგი, 2. ხმარებიდან გამოსული ლექსიკური ერთეულები, 3. მეგრული, სვანური და კუთხური კილოკავები.

ლიტერატურულ ენას დაუტვირთავი მარაგი თითქოს არ უნდა გააჩნდეს, მაგრამ აშკარაა, რომ ჩვენ ვდგავართ ამ სამწუხარო ფაქტის წინაშე — რიგითი ქართველის მეტყველება იმდენადაა დანაგვიანებული, რომ არათუ, ვთქვათ, 90 000, არამედ ის სამიათასნახევარი სიტყვაც, რომელიც საკმარისია ნებისმიერ ენაზე სასაუბროდ, არ იხმარება სრულად და შეურყვნელად.

ტერმინოლოგიური კომისიის სპეციალისტი ფილოლოგები, ალბათ, უნდა ჩაუსხდნენ განმარტებით ლექსიკონებს, სულხან-საბას სიტყვის კონას, ძველ ხელნაწერთა სიმფონიებს, კუთხურ კილო-თქმათა კრებულებს და ამოკრიბონ ყველა ის საჭირო სიტყვა, რომელიც შედარებით უცნობია. შემდეგ ეს სიმრავლე უნდა დალაგდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. როცა საქმე მიდგება რომელიმე ტერმინის შემუშავებაზე, დაგროვებული მარაგიდან ამოიკრიბება რამდენიმე ან ბევრი სიტყვა, საიდანაც შეირჩევა საბოლოო ვარიანტი.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და რთულია სიტყვათწარმოქმნის სტანდარტული წესების შემუშავება, მაგრამ ამ საკითხში ჩემი კომპეტენცია საკმარისად არ მიმაჩნია, ამიტომ თავს შევიკავებ აზრის გამოთქმისგან.

ჩემი აზრით, საჭირო იქნება გარკვეული პრინციპების დაცვა თვით კომისიის მუშაობაშიც.

ერთი რომ, მხოლოდ სისტემატური შეკრებით და მუშაობით არაფერი გამოვა, პირიქით — საქმის კომპრომეტირება რომ არ მოხდეს, სჯობს ცოტა ხნით დაგვიანდეს და ეს დრო გამოყენებულ იქნეს ძლიერ კონსულტანტთა მისაზიდად და დასაინტერესებლად. ძლიერში, ცხადია, პროფესიონალებს ვგულისხმობ.

მეორე — აუცილებელია შიდა სპეციალიზაცია, ერთგვარი სარეკლამო გამტანი ფრთა. შემმუშავებლები ტერმინის გატანაზე არ უნდა მოსცდნენ, ეს აღნიშნულმა ფრთამ უნდა იკისროს. როცა ერთი გარკვეული საკითხი მომზადდება, უნდა დამუშავდეს საზოგადოებრივი აზრი, მიეწოდოს წინადადებანი კონკრეტული ტერმინის გარშემო (შესადარებლად და შესაფასებლად). სჯობს კამპანია იყოს მთლიანი, არ მოხდეს ყურადღების შენელება ან მიჩუმათება, გამოცხადდეს რაიმე ვადის მსგავსი, რომელშიც კომისია მიიღებს თავის საბოლოო გადაწყვეტილებას.

მესამე — კომისიის მიერ შემუშავებული წინადადება, გაზიარებული ფილოლოგებისა და საზოგადოების მიერ, უნდა დაინერგოს. დაინერგოს ყოველგვარი ყოყმანის გარეშე. პრესამ, ტელევიზიამ, რადიომ უნდა მიიღოს ტერმინი. კომისიას დიდი კავშირები და გავლენა დასჭირდება ამისათვის, მაგრამ უამისოდ მისი მუშაობის ფასი განახევრდება.

მეოთხე — კამპანიებს შორის საჭირო იქნება გარკვეული პაუზა, რათა რიგით ადამიანებისთვის არ შეიქმნას ინტერესის დაცემის, მოყირჭების შეგრძნება.

მეხუთე — აუცილებელია პიროვნული ფაქტორის გათვალისწინებაც. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ყველა სხარტი მიგნებისა და საინტერესო ვარიანტის ავტორი ან ჯგუფი, ხომ ცნობილია, რომ ლიანდაგი და ფეხბურთი გიორგი ნიკოლაძემ დაამკვიდრა. ასეთი სტიმული მეტად მნიშვნელოვანი იქნება ქართველი კაცისთვის.

მართალია, ქართულში უცხოური სპორტული ტერმინების მოძალებას გარკვეული წინააღმდეგობა გააჩნია (ზოგ სხვა ენაზე მეტიც), მაგრამ საქმე, მოგეხსენებათ, არც ისე კარგადაა. კომისია ალბათ პრობლემათა მთელ უფსკრულს ვერ ამოავსებს, მაგრამ თუკი შესძლებს გარკვეული ტრადიციისათვის საფუძვლის ჩაყრას, კომისიას მოვალეობა აღსრულებული იქნება.

**ბელა ბურბენიძე.**

მკითხველთა თხოვნით — საქართველოს სპორტულ სამყაროში

## 1985-1988 წლებში საქართველოში ჩატარებული საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები და 1989 წლისათვის დაგეგმილი ასპარეზობები

**საკავშირო შეჯიბრებები** (კომპლექსური). 1985 წელი — 0, 1986 — 0, 1987 — სპორტსკოლების საკავშირო თამაშები, სულ — 1. 1988 — „უნივერსიადა-88“-ის პროგრამით: ფრენბურთი (ზონა); კალათბურთი (ზონა); ხელბურთი (ზონა). II საკავშირო სპორტული თამაშები, (საგზატკეცილო ველორბოლა) —2. 1989 — ახალგაზრდული თამაშები ზამთრის სახეობებში (სამთო-სათხილამურო სპორტი) — 1.

**მსოფლიო ჩემპიონატები და პირველობები.** 1985 — 0, 1986 ჭადრაკი — 1, 1987 — ჭადრაკი — — 1, 1988 — ჭადრაკი (ზონა), ჭადრაკი (გოგლიძის მემორიალი), ჭადრაკი (ქალთა), ჭადრაკი (ზონა). ძიუდო (სტუდენტთა ჩემპიონატი) — 5. 1989 — 0.

**ევროპის ჩემპიონატები და პირველობები.** 1985 — 0, 1986 — 0, 1987 — 0, 1988 — 0, 1989 — ფეხბურთი, შესარჩევი ტურნირი ჭაბუკთა შორის — 1.

**მსოფლიო თასი.** 1985 — 0, 1986 — 0, 1987 — 0, 1988 — 0, 1989 — 0.

**ევროპის თასი.** 1985 — 0, 1986 — 0, 1987 — 0, 1988 — 0, 1989 — სამთო-სათხილამურო სპორტი (ქალები) — 1.

**საერთაშორისო შეჯიბრებები.** 1985 — კალათბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ველო (ტრეკი), წყალბურთი, ძიუდო, ხელბურთი, ჭადრაკი — 7. 1986 — კრივი, თავისუფალი ჭიდაობა, ველო (ტრეკი), წყალბურთი, ძიუდო, ხელბურთი, ჩოგბურთი, ფეხბურთი, ჭადრაკი, — 9. 1987 — კრივი, თავისუფალი ჭიდაობა, ველო (ტრეკი), წყალბურთი, სამთო-სათხილამურო სპორტი, ძიუდო, მძლეოსნობა, ხელბურთი, ჩოგბურთი, ფეხბურთი, ჭადრაკი, ჭადრაკი — 12. 1988 — კრივი, თავისუფალი ჭიდაობა, ველო (ტრეკი), კრივი, წყალბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ძიუდო, ძიუდო, მძლეოსნობა, მძლეოსნობა, ფეხბურთი, ფეხბურთი — 12. 1989 წელს დაგეგმილია ალპინიზმი, კრივი, თავისუფალი ჭიდაობა, წყალბურთი, ფრენბურთი, ძიუდო, ძიუდო, მძლეოსნობა, ხელბურთი, ფეხბურთი, ფეხბურთი, ფეხბურთი — 13.

**სსრ კავშირის ჩემპიონატები და თასი.** 1985 — კალათბურთი (ტური), მძლეოსნობა, ხელბურთი (ტური), ფეხბურთი — 4. 1986 —კალათბურთი (ტური), მძლეოსნობა, მძლეოსნობა, თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა, ხელბურთი (ტური), ჩოგბურთი, ფეხბურთი — 7. 1987 — მძლეოსნობა, მხატვრული ტანვარჯიში, კალათბურთი (ტური), ჩოგბურთი, ფეხბურთი — 5. 1988 — ბადმინტონი, კალათბურთი (ტური), კლასიკური ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, საგზატკეცილო ველორბოლა, საგზატკეცილო ველორბოლა, წყალბურთი (ტური), წყალბურთი (ტური), წყალბურთი (ტური), ფრენბურთი (ვაჟები), ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე), მძლეოსნობა, მძლეოსნობა, მხატვრული ტანვარჯიში, ცურვა, სინქრონული ცურვა, წყალში ხტომა, წყალში ხტომა, რეგბი (ტური), ჩოგბურთი, ფეხბურთი, შაში — 23. 1989 — დაგეგმილი შეჯიბრებები: კალათბურთი (ტური), ბეისბოლი (ნახევარფინალი), ველო (ტრეკი), ველო (ტრეკი), საგზატკეცილო ველორბოლა, წყალბურთი (ტური), წყალბურთი (ტური), ფრენბურთი (ტური), ფრენბურთი (ტური), ფრენბურთი (ტური), სამთო-სათხილამურო სპორტი, აკადემიური ნიჩბოსნობა, ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე), მძლეოსნობა (კროსი), სინქრონული ცურვა, წყალში ხტომა, თანამედროვე ხუთჭიდი, მშვილდოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი (ტური), ბალახის ჰოკეი (წინასწარი შეჯიბრებები).



## ამას ჰქვია ზრუნვა?

**ხშირად** ვუჩივით უბაზობას, იმაზე კი, რაც გვაქვს, როგორ ვუვლით და ვიყენებთ, რატომღაც ვდუმვართ. ეს ფოტოსურათები კასპის რაიონის სოფელ ალაიანშია გადაღებული. სოფლის თავკაცები არავითარ დაინტერესებას არ იჩენენ, რომ ფიზკულტურა და სპორტი დამკვიდრდეს ადამიანების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის ყოველდღიურ ყოფაში. მეტიც, სოფლის სტადიონის მიმდებარე ტერიტორია სამოსახლოდ დაანაწილეს, ახალგაზრდები კი იმის შიშით, რომ ბურთი ეზოებში არ გადავარდეს, მოედანს ვერ გაჰკარებიან

სოფლის ხელმძღვანელებს და ფიზკულტურის მეთოდისტს რომ ჰკითხოთ, აქ სისტემატურად ტარდება მეცადინეობები. ამაზეა ნათქვამი, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.



# სსრ კავშირი—კანადა

### ჯანმრთელობისათვის ლაშქრობა დაიწყო

**როგორც** „ლელოს“ მკითხველებს ადრე უკვე ვაცნობეთ, სსრ კავშირისა და კანადის ქალაქებს შორის დაიდო შეთანხმება დაუსწრებელი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარების შესახებ, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს ხუთი საბჭოთა და ხუთი კანადის ქალაქი. სსრ კავშირის ქალაქებს შორისაა რუსთავი. მისი მეწყვილეა კანადის ქალაქი სენტ-ჯონსონი.

**29 იანვარს ჯანმრთელობისათვის ლაშქრობაში პირველნი ჩაებნენ რიგისა და მონრეალის მცხოვრებლები. 5 თებერვალს ეს ღონისძიება დაიწყება რუსთავსა და სენტ-ჯონსონში.**

**როგორ ვემზადებით ამ მასობრივი ასპარეზობისათვის? სიტყვა თქვენზეა, რუსთაველებო!**

# ქვეყნის ჩემპიონატზე

კრივი

**ყირგიზეთის** დედაქალაქის რინგზე გამართულ საბჭოთა კავშირის 55-ე ჩემპიონატის ფინალური შეხვედრების შემდეგ ოქროს მედლებს, წონითი კატეგორიების მიხედვით, დაეპატრონენ: შარშანდელი ჩემპიონი, ერევნელი ნშან მუნჩიანი, კემეროვოელი იური არბაჩაკოვი, სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი კიშინიოველი ტიმოფეი სკრიაბინი, ლენინგრადელი ალექსანდრ არტემიევი, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი ფრუნზელი ორზუბეკ ნაზაროვი, ტემირტაუელი იგორ რუჟნიკოვი, ვორონეჟელი ვლადიმერ იერეშენკო, კონტინენტის ექსჩემპიონი ერევნელი ისრაელ აკოფკოხიანი, ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის ფრუნზელი ანდრეი კურნიავკა, ორენბურგელი ელდარ მაჰომედოვი, დიმიტროვგრადელი ევგენი სუდაკოვი, აგრეთვე ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი კუსტანაელი ალექსანდრ მიროშნიჩენკო.

**! ფრუნზეში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში საქართველოდან რვა მოკრივე მონაწილეობდა. ვერც ერთმა მათგანმა საპრიზო ადგილის მოპოვებაც ვერ შეძლო. მეტიც, ისინი ფინალურ შეხვედრებამდე გამოეთიშნენ ასპარეზობას. ეს ფაქტი სერიოზული დასკვნების გამოტანას მოითხოვს. რა ხდება, სად მიდიან ნიჭიერი მოზარდები, რატომ ვერ ამართლებენ იმედებს ნაკრები გუნდის წევრები?**

**„ლელოს“ რედაქცია ამ კითხვაზე პასუხს ელის როგორც ნაკრების მწვრთნელებისგან, ისე სპორტსახკომის ორთაბრძოლების განყოფილებისგან.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# სამი მატჩი

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**კაუნასი.** „ჟალგირისისა“ და მინსკის რტი-ს მატჩის პირველმა ნახევარმა უძლიერესი ვერ გამოავლინა — 46:46. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მაინც შეძლეს ინიციატივის მოპოვება და გაიმარჯვეს — 102:90.

**მოსკოვი.** პრინციპულ ხასიათს ატარებდა ადგილობრივი გუნდების „დინამოსა“ და ცსკა-ს ორთაბრძოლა. ტაიმი დინამოელებმა მოიგეს — 65:60. მეორეში არმიელებმა ყველაფერი იღონეს მდგომარეობის გამოსასწორებლად და კინაღამ მიზანსაც მიაღწიეს, გამარჯვება საბოლოოდ მაინც „დინამოს“ დარჩა — 101:100.

**ტალინი.** თბილისში მოპოვებული წარმატების შემდეგ „სტატიბა“ ესტონეთის დედაქალაქს ესტუმრა, მაგრამ იქ პირველსავე შეხვედრაში ხელი მოეცარა — „კალევთან“ ორთაბრძოლაში დიდი ანგარიშით დამარცხდა — 79:103 (43:45).

პასუხი „ლელოს“ — ქმედითობა

# კრიტიკა სწორია

**„ლელოს“ 4, 5, 7, 8 და 10 იანვრის ნომრებში გამოქვეყნებული იყო კრიტიკული წერილები, რომლებიც თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტსკოლებში მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების პერიოდში სპორტული ღონისძიებების ჩატარების მდგომარეობას ეხებოდა. ამ პუბლიკაციების პასუხად გაცნობებთ, რომ მათ შესახებ იმსჯელა თბილისის სახალხო განათლების საბჭომ და „ლელოს“ კრიტიკა ჩვენს მიმართ სწორად სცნო. საბჭომ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა სამმართველოს აღმზრდელობითი მუშაობის სექტორის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების, ყალინინის, საბურთალოს, ორჯონიკიძის, ოქტომბრისა და პირველი მაისის სახელობის რაიონების განათლების განყოფილებათა მუშაობა ზამთრის არდადეგების პერიოდში ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტსკოლებში კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციის საქმეში.**

**რაიონების განათლების განყოფილებებს დაევალათ საბჭოს სხდომებზე განიხილონ და მკაცრი ზომები გაატარონ თბილისის 44-ე, 50-ე, 49-ე, 1-ლი, მე-60, 61-ე, 62-ე, 55-ე, 54-ე, 165-ე, 150-ე, 126-ე, მე-8 და მე-5 სკოლებისა და რაიონული სპორტსკოლების ხელმძღვანელების მიმართ ზამთრის არდადეგებზე მოსწავლეთა მასობრივსპორტული ღონისძიებების არაორგანიზებულად, უპასუხისმგებლოდ ჩატარების გამო. მათვე დაევალათ მიღებული ზომების შესახებ იანვრის ბოლომდე აცნობონ თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს და „ლელოს“ რედაქციას.**

**რაც შეეხება 34-ე სკოლაში 7 იანვარს სპორტული ღონისძიების ჩაუტარებლობის ფაქტს, ამის მიზეზი იყო ის, რომ ღონისძიება აღნიშნულ დღეს საერთოდ არც ყოფილა დაგეგმილი. სკოლაში სპორტული ღონისძიებები მოეწყო 3, 4 და 10 იანვარს, როგორც ეს გათვალისწინებული იყო გრაფიკით.**

**ვ. ჩიფჩიური,**
**თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე.**

ამ საკითხთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო აგრეთვე თბილისის სპორტკომიტეტის ვრცელი პასუხი, სადაც მწვავედ და პრინციპულადაა შეფასებული აღნიშნული ფაქტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებულნი



ლი ხოკ სონი | გოჩა მაკოევი | არტურ მუტალიბოვი | ვლადიმერ თოგუზოვი | კიმ იონ სიკი | გამზათ ხაზამოვი | მელვინ დუგლასი | სანასარ ოჰანესიანი | ზაზა თურმანიძე

# კანონი ყველასათვის კანონია

(დასასრული)

კორეელმა მეთოდურად დააგროვა გამარჯვებისთვის საკმარისი ქულები (4:1) და პირველი ადგილი დაიკავა.

**52 კგ.** ვლადიმერ თოგუზოვი (სსრ კავშირი) — მიხეილ კუშნირი (სსრ კავშირი). კუშნირმა ყველა წინასწარი შეხვედრა დიდი ალმავლობით ჩაატარა, მაგრამ ფინალში ვერაფერი გააწყო ამ ტურნირის შარშანდელ ჩემპიონთან და დამარცხდა — 7:3.

**57 კგ.** კიმ იონ სიკი (კსდრ) — ეგია მუსოიანი (საქართველო). კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მოჭიდავეები დაბალ წონებში უდავო ფავორიტები იყვნენ. მუსოიანმა ორჯერ სცადა მეტოქის გადატრიალება, მაგრამ, როგორც ჩანს, ძალა არ ეყო. კიმ იონ სიკმა დამაჯერებლად ჩაატარა ორთაბრძოლა და გაიმარჯვა — 10:3.

**62 კგ.** გოჩა მაკოევი (საქართველო) — ხაზარ ისაევი (სსრ კავშირი). მაკოევი, სავსებით სამართლიანად, ამ ტურნირის ერთ-ერთ აღმოჩენად უნდა მივიჩნიოთ. ფინალურ ორთაბრძოლაშიც ამ ახალგაზრდა მოჭიდავემ მაღალი ტექნიკა და მორალური სიმტკიცე გამოიჩინა, არ შეუშინდა ძლიერ და გამოცდილ მეტოქეს, მძაფრ ბრძოლაში დაამარცხა იგი — 3:2 და პირველი ადგილი დაიკავა. საბჭოთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ივან იარიგინმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი მაკოევის წარმატებას და იგი „მიზანში ამოიღო".

**68 კგ.** არტურ მუტალიბოვი (სსრ კავშირი) — ბორის ბუდაევი (სსრ კავშირი). მუტალიბოვმა შეძლო ძალების მობილიზება ფინალური ბრძოლისთვის და დამსახურებულ წარმატებას მიაღწია (3:1), თუმცა მეტოქეც თავგანწირვით იბრძოდა.

**74 კგ.** გამზათ ხაზამოვი (სსრ კავშირი) — ნასირ გაჯიხანოვი (სსრ კავშირი), შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ბრძოლის გამეორება ორ მახაჩყალელ მოჭიდავეს შორის. მაგრამ მაშინ გამარჯვება გაჯიხანოვმა მოიპოვა, ამჯერად უფრო ძლიერი ხაზამოვი იყო — 3:2.

**82 კგ.** მელვინ დუგლასი (აშშ) — — იური ვორობიოვი (სსრ კავშირი). ბოლო წლების თბილისის საერთაშორისო ტურნირებში ამერიკელებს თითო ჩემპიონი მუდამ ჰყავთ. ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. დუგლასმა დამაჯერებლად მოიგო გადამწყვეტი ორთაბრძოლა — 5:3.

**90 კგ.** შამილ აბდურახმანოვი (სსრ კავშირი) — ვაგაბ კაზიბეკოვი (სსრ კავშირი). ამ უნიკალური ბრძოლის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ. გავიმეორებთ, რომ დამატებით დროში პასიური ბრძოლისთვის ორთავე მოჭიდავე მოიხსნა და პირველი ადგილი გაუთამაშებელი დარჩა.

**100 კგ.** სანასარ ოჰანესიანი (სსრ კავშირი) — ანდრეი გოლოვკო (სსრ კავშირი). პირველი ადგილი ამ წონაში უფრო გამოცდილმა ოჰანესიანმა მოიპოვა (2:0) და ეს ალბათ ლოგიკურიც იყო.

**130 კგ.** ზაზა თურმანიძე (საქართველო) — ანდრეას შრიოდერი (გდრ). ფინალში ღირსეული მეტოქეები შეხვდნენ ერთმანეთს და სპეციალისტთა პროგნოზი სავსებით გამართლდა. შრიოდერი, გახსოვთ ალბათ, სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორია, თურმანიძე კი ევროპის ექსჩემპიონი. ქართველი მოჭიდავის უპირატესობა ამჯერად უდავო იყო. მან მეტოქეს სამი ქულა აართვა, ერთი დაუთმო და პირველი ადგილიც დაიკავა.

# შარშან და წლეულს

**თბილისის** საერთაშორისო ტურნირის საპრიზო ადგილები ექვსი გუნდის წარმომადგენლებმა გაინაწილეს. შარშანდელ ასპარეზობაში ოქროს მედლები წილად ხვდათ საბჭოთა კავშირის, საქართველოსა და ამერიკელ მოჭიდავეებს, წლეულს მათ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ორი ათლეტი დაემატა.

საქართველოს მოჭიდავეებს შარშან ხუთი საპრიზო ადგილი ჰქონდათ, წლეულს კი ცხრა, თანაც ორ წონაში — ქვემძიმესა და მძიმეში ჩვენი გუნდის ლიდერები ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი წლევანდელ ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ. მძიმეში გობეჯიშვილი წარმატებით შეცვალა ზაზა თურმანიძემ, ქვემძიმეში კი ლერი ხაბელოვი ჩვენს ნაკრებს ალბათ კიდევ ერთ ზედმეტ ოქროს მედალს შესძენდა. მაგრამ ასეა თუ ისე, შარშანდელთან შედარებით ჩვენმა ათლეტებმა ნაბიჯი წინ გადადგეს. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის, რომ ახალგაზრდებმა კარგად დაგვამახსოვრეს თავი. მათ შორის უნდა გამოვყოთ გოჩა მაკოევი, ეროსი ელოშვილი, დავით ბელთაძე, გიორგი ხინჩიგაშვილი, აკაკი გაბედავა, რამაზ ბუზარიაშვილი, მერაბ ვალიევი და სხვები, რომლებიც, დარწმუნებული ვართ, უახლოეს მომავალში უსათუოდ გამოიჩენენ თავს.

შარშანდელი და წლევანდელი ტურნირების შედარების მიზნით ორ ცხრილს მოვიყვანთ. მათში აღნუსხულია, რომელი ქვეყნის მოჭიდავეებმა რამდენი საპრიზო ადგილი დაიკავეს (საბჭოთა კავშირს ამ ტურნირში, ტრადიციულად, ორი ნაკრები გამოჰყავს).

**1988 წელი**

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| საბჭოთა კავშირი | 7 | 8 | — |
| საქართველო | 2 | 3 | — |
| აშშ | 1 | — | 8 |
| ბულგარეთი | — | 2 | 8 |
| მონღოლეთი | — | 1 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | — | 1 | — |
| პოლონეთი | — | — | 2 |
| რუმინეთი | — | — | 1 |

**1989 წელი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 3 | 2 |
| საქართველო | 2 | 5 | 2 |
| კსდრ | 2 | — | — |
| აშშ | 1 | 1 | 2 |
| გდრ | — | 1 | — |
| მონღოლეთი | — | — | 4 |

დაბოლოს პრიზიორთა სიასაც გადავხედოთ:

**48 კგ.** 1. ლი ხოკ სონი (კსდრ), 2. ნორაირ გევორქიანი (სსრ კავშირი), 3. ლუფსანიში სერგელენბატორი (მონღოლეთი).

**52 კგ.** 1. ვლადიმერ თოგუზოვი (სსრ კავშირი), 2. ზურაბ ტატუაშვილი (საქართველო), 3. იაკობ ჯუიბარი (მონღოლეთი).

**57 კგ.** 1. კიმ იონ სიკი (კსდრ), 2. ეგია მუსოიანი (საქართველო), 3. კამალუტდინ აბდულდაუდოვი (სსრ კავშირი).

**62 კგ.** 1. გოჩა მაკოევი (საქართველო), 2. ხაზარ ისაევი (სსრ კავშირი), 3. ავიხმედ ტაივანი (მონღოლეთი).

**68 კგ.** 1. არტურ მუტალიბოვი (სსრ კავშირი), 2. გოჩა გაბოძე (საქართველო), 3. ჯონ გიურა (აშშ).

**74 კგ.** 1. გამზათ ხაზამოვი (სსრ კავშირი), 2. ეროსი ელოშვილი (საქართველო), 3. ლადაი ერხბაიარი (მონღოლეთი).

**82 კგ.** 1. მელვინ დუგლასი (აშშ), 2. იური ვორობიოვი (სსრ კავშირი), 3. ავთანდილ გოგოლიშვილი (საქართველო).

**90 კგ.** 1. არ გათამაშდა, 2. ჯიმ შერი (აშშ), 3. მამუკა რაზმაძე (საქართველო).

**100 კგ.** 1. სანასარ ოჰანესიანი (სსრ კავშირი), 2. ზაზა ტყეშელაშვილი (საქართველო), 3. კირტ ტროსტი (აშშ).

**130 კგ.** 1. ზაზა თურმანიძე (საქართველო), 2. ანდრეას შრიოდერი (გდრ), 3. ოლეგ ნანიევი (სსრ კავშირი).

# დიდი გამარჯვება

(დასასრული)

ნდის ინტერესებმა სხვაგვარად „განსაჯა".

მეორე ქვეჯგუფში საქმე უარესად წავიდა. პირველ წრეში დამარცხდა ზაზა დაბრუნდაშვილი, მეორეში — ვალერი პარუნაშვილი, მაგრამ სამაგიეროდ ამ ქვეჯგუფში გამოდიოდა ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი ქუთაისელი ავთანდილ გუბელაძე, რომელმაც სავსებით გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. გუბელაძემ სამი შეხვედრა წმინდად მოიგო, ერთი — ქულებით. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ მისი გადამწყვეტი გამარჯვება ოდესელ გენადი ეროომენკოსთან. გუბელაძე თავდაპირველად აგებდა შეხვედრას, მაგრამ შემდეგ ძალა მოიკრიბა და... ყველა გაკვირვებული დარჩა, როგორ დაანარცხა ძირს გაცილებით მძიმე მეტოქე.

ალბათ, მიხვდებით, როგორ ხასიათზე იქნებოდა ქუთაისელი მწვრთნელი ომარ მერაბიშვილი — ფინალში გასული ორივე სპორტსმენი — დავით ხახალეიშვილი და ავთანდილ გუბელაძე ხომ მისი მოწაფეები არიან.

ხუმარაძემ წაგების შემდეგ წარმატებით გააგრძელა ბრძოლა მესამე ადგილისათვის, ხოლო აკაკი კიბორძალიძემ, რომელიც მთელი ჩემპიონატის მანძილზე შეუძლოდ გრძნობდა თავს, ამ უფლებაზე უარი თქვა.

60 კგ. წონაში ჩვენგან 4 სპორტსმენი ასპარეზობდა, რსფსრ-ის გუნდიდან კი ცხრა, მაგრამ საქმე, მოგეხსენებათ, ხარისხშია.

ამირან ტოტიკაშვილის გამოსვლას რომ უყურებ, მისი ასაკი გავიწყდება, იმდენად მრავალფეროვანი და ოსტატურია მისი ჭიდაობა. მეტოქეები ძალას არ ზოგავდნენ ჩემპიონის დასამარცხებლად, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მარტყოფელმა ფალავანმა, რომელიც თბილისის არმიის სპორტული კლუბის სახელით გამოდის, სამი შეხვედრა ვადამდე დაამთავრა, ერთი — ქულებით და ფინალში გავიდა.

თითო წაგების შემდეგ მესამე ადგილისათვის კარგად ასპარეზობდნენ საგარეჯოელი ბადრი ბასილაშვილი და კახა ქურასბედიანი (თბილისი), მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გზები გადაიკვეთა, ქურასბედიანმა გაიმარჯვა და მოიპოვა ბრინჯაოს მედლისათვის ბრძოლის უფლება. ქუთაისელმა რობერტ ლომთაძემ ორი შეხვედრა მოიგო, მაგრამ ამდენივე წააგო და ექსპულის მიღმა დარჩა.

ფინალში ტოტიკაშვილმა პირდაპირ ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა თავის მეტოქეს მახაჩყალელ რუსლან გამზათოვს და მეორედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის წოდება. მოწაფის წარმატებისთვის დააჯილდოვეს ტოტიკაშვილის ახალგაზრდა მწვრთნელი მარტყოფელი ზურაბ კორონხაშვილი.

ქურასბედიანმა კი გადამწყვეტ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და გამარჯვება მისმა მეტოქემ ანდრეი ბარინოვსკიმ (რსფსრ) მოიპოვა.

დავით ხახალეიშვილი, შეიძლება ითქვას, ავთანდილ გუბელაძის თვალწინ გაიზარდა და დავაჟკაცდა. ამ გარემოებამ ნამდვილად დაამჩნია კვალი მათ გარეგნულად ნაკლებად ეფექტურ ორთაბრძოლას. გუბელაძემ გაიმარჯვა და ზედიზედ მეორედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, ხოლო ეს „ვერცხლი" ჯერჯერობით ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა დავით ხახალეიშვილის ხანმოკლე სპორტულ ბიოგრაფიაში.

შესანიშნავად ჩაატარა ბოლო შეხვედრა გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტმა (სხვათა შორის, ამ ინსტიტუტში სწავლობს ორი ჩემპიონი — კობა კურტანიძე და გია თენაძე) მიხეილ ხუმარაძემ (მწვრთნელები — გივი ზაუტაშვილი და გურამ პაპიტაშვილი). მან სძლია მოსკოველ ანდრეი პოპოვს და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ეს გახლდათ ჩვენი ნაკრების რიგით მე-13 ჯილდო. როგორც უკვე გაცნობეთ, წონა ჩემპიონატში 6 მედალი მოვიპოვეთ.

საბოლოოდ, საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს გუნდმა აშკარა უპირატესობით აჯობა ყველას. მან 38 ქულა მოაგროვა, რსფსრ-ის ნაკრებმა — 29, ბელორუსიისამ კი (რომელიც მესამე ადგილზე გავიდა) — 12.

წარმატება საკავშირო ჩემპიონატში კანონზომიერი შედეგია სპეციალისტების და სპორტსმენების ნაყოფიერი მუშაობისა.

— ბოლო პერიოდში გაწეულმა მუშაობამ გვიჩვენა, რომ ჩვენი გუნდი აშკარად მზად იყო ასეთი შედეგისათვის — გვითხრა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა. — ეს ობიექტური შედეგია და არა შემთხვევითი მიღწევა. არ დაგავიწყდეთ, ამ ჩემპიონატზე ჩვენ ყველაზე ახალგაზრდული გუნდი გვყავდა, მასში იყვნენ 1969-71 წლებში დაბადებული სპორტსმენებიც და ამდენად ჩვენი ნაკრები მეტად პერსპექტიული გუნდია.

შეუძლებელია არ დაეთანხმო უფროს მწვრთნელს. ნაკრების მწვრთნელს გენადი კალიტკინს ძალიან მოეწონა ვლადიმერ დგებუაძე, მან ძალზე აქო აგრეთვე სხვა ახალგაზრდებიც — ხახალეიშვილი, პარუნაშვილი, უმცროსი თენაძე და, რა თქმა უნდა, ტოტიკაშვილი.

ქალთა ჩემპიონატში, როგორც იცით, საქართველოდან 6 სპორტსმენი ასპარეზობდა. სხვებზე უკეთესად გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები ნინო სუარიშვილი და რენა შაქერდოვა, რომლებმაც ორ-ორი შეხვედრა მოიგეს.

ამჟამად საბჭოთა კავშირში ძალზე ინტენსიურად ვითარდება ქალთა ძიუდო. მას ზოგან მეტ ყურადღებასაც აქცევენ, ვიდრე ვაჟების ძიუდოს — ახალი სპორტის სახეობა წარმატების მიღწევის უფრო იოლი საშუალებაა და იმიტომ. ჩვენი გოგონებისათვის ჯერჯერობით ძალზე ძნელია კონკურენცია გაუწიონ რსფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიის, ლენინგრადის, მოსკოვის, უძლიერეს მოჭიდავეებს.

# მოკლედ ჩემპიონებზე

**48 კგ.** ლი ხოკ სონი (კსდრ). 22 წლის. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი. თბილისის საერთაშორისო ტურნირში პირველად გაიმარჯვა.

**52 კგ.** ვლადიმერ თოგუზოვი (სსრ კავშირი, ორჯონიკიძე). სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონიც მესამედ გახდა.

**57 კგ.** კიმ იონ სიკი (კსდრ). კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი. 21 წლის, თბილისის საერთაშორისო ტურნირში პირველად გაიმარჯვა.

**62 კგ.** გოჩა მაკოევი (საქართველო). 19 წლის. სსრ კავშირის ჩემპიონი იუნიორთა შორის. თბილისის ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

**68 კგ.** არტურ მუტალიბოვი (სსრ კავშირი, მახაჩყალა). 22 წლის. სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

**74 კგ.** გამზათ ხაზამოვი (სსრ კავშირი, მახაჩყალა). 26 წლის. 1988 წლის საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. თბილისის ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

**82 კგ.** მელვინ დუგლასი (აშშ). 26 წლის. ამერიკის მეორე პრიზიორი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

**90 კგ.** ამ წონაში პირველი ადგილი არ გათამაშდა.

**100 კგ.** სანასარ ოჰანესიანი (სსრ კავშირი, მოსკოვი). 28 წლის. ევროპისა და მსოფლიოს ექსჩემპიონი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი იყო სამჯერ 90 კგ წონაში. ახლა 100 კგ-ში გაიმარჯვა.

**130 კგ.** ზაზა თურმანიძე (საქართველო). 23 წლის. ევროპის ექსჩემპიონი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

როგორც ხედავთ, ჩვენი ტურნირის შარშანდელ ჩემპიონთაგან უმაღლესი ტიტული მხოლოდ ვლადიმერ თოგუზოვმა შეინარჩუნა, შვიდმა ათლეტმა კი ჩემპიონობა პირველად მოიპოვა.

# სი ყალბე

**ორი თვის წინ შეიქმნა ახალი სპორტული ორგანიზაცია — ტანვარჯიშ უშუ-ს ფედერაცია, რომლის პრეზიდენტი გახდა რუსეთის ფედერაციის კულტურის დამსახურებული მუშაკი, მწერალი გიორგი სვირიდოვი. იგი დიდი ხანია მჭიდრო კონტაქტშია სპორტთან, მის კალამს ეკუთვნის რომანები: „რინგი ეკლიანი მავთულის მიღმა“, „ჭექსონი რუსეთში რჩება“ და სხვ.**

**გასული წლის დეკემბერში მოსკოვში იმყოფებოდა ჩინეთის სპორტის მინისტრი ლი მენხუა და სრული მზადყოფნა გამოთქვა ახალგაზრდული ფედერაციის დასახმარებლად. მან განაცხადა, რომ გამოგზავნიდა თავის ინსტრუქტორებს და გამოყოფდა სასწავლო ადგილებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უშუ-ს აკადემიაში.**

**მაგრამ ფედერაციის ჩამოყალიბება არცთუ ისე წყნარად მიმდინარეობდა, რის თაობაზეც გვესაუბრება გიორგი სვირიდოვი.**

**ფედერაცია,** ჩამოყალიბების დღიდანვე, გარკვეულ სიძნელეებს წააწყდა. საქმე ისაა, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის ინსტიტუტთან შეიქმნა ჯგუფი — შორეული აღმოსავლეთის გამაჯანსაღებელი სისტემების შესწავლის ცენტრი გ. მუზრუკოვის ხელმძღვანელობით, სადაც ცდილობენ მონოპოლიზება უყონ უშუ-ს განვითარებას.

ჩვენი აზრით, ცენტრის ინიციატივით იქმნებოდა ინფორმაციის ხელოვნური დეფიციტი, რათა ხალხი აიძულებინათ მიემართათ უშუალოდ გამაჯანსაღებელი სისტემების შესწავლის ცენტრისთვის (**გსშც**) და გაეღოთ გარკვეული თანხა. იქ ასობით წერილი მიდიოდა, სადაც დახმარებას ითხოვდნენ, მაგრამ, ცხადია, ცენტრს არავითარი დახმარების გაწევა არ შეეძლო. **გსშც-ს** „სამეცნიერო“ მოღვაწეობის ერთადერთ ნაყოფად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ 12-გვერდიანი ბროშურა, რომელიც ტანვარჯიშ ტაი ცზიციუანს ეძღვნება და რომლის გარეკანზე მითითებული სამი ავტორიდან ორი (მ. ჩერნიშევი და ნ. ბალაშოვი) კატეგორიულ უარს აცხადებენ ბროშურის შექმნასთან დაკავშირებულ რაიმე კავშირზე. მით უმეტეს, რომ მათ არც არავითარი ჰონორარი არ მიუღიათ. ბროშურა მესამე ავტორის, მუზრუკოვის სინდისზე რჩება. ყველაფერს ემატება ისიც, რომ შორეული აღმოსავლეთის ინსტიტუტის ჩინეთის მცოდნეები „ნაშრომს“ აფასებენ როგორც „ევროპულ ენებზე დასტამბული პოპულარული გამოცემებიდან ნაცნობი ინფორმაციის შელამაზებული უაზრობების თაიგულს“.

მაშ ასე, არავითარი მეცნიერება, მაგრამ მუზრუკოვი აქტიურად იყენებს **გსშც-ს** უშუ-ს კოოპერატივებისა და კლუბების დამოუკიდებლობის შესაზღუდად. იგი არაერთხელ შეეცადა დაეშალა უშუ-ს სპეციალისტთა შეკრებები კიევში, ზაგორსკში, მოსკოვში. ამის საპასუხოდ უშუ-ს ცენტრების უმრავლესობამ (ბალტიისპირეთში, შორეულ აღმოსავლეთში, საქართველოში, მოსკოვში) უარი განაცხადეს **გსშც**-სთან კავშირზე. ცენტრის მოღვაწეობა აფიორულ-კომერციულში გადაიზარდა. სპორტსახკომთან შეთანხმების გარეშე **გსშც-მ** სემინარები გამართა იალტასა და ალმა-ათაში. ტარდებოდა ინსტრუქტორების გამოცდები და ატესტაციები უშუ-ს სწავლების უფლებისათვის დიპლომების გაცემით. ვინაიდან ამ ატესტაციას არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნდა, ასობით ადამიანი მთელს ქვეყანაში მოტყუებული აღმოჩნდა. არადა ეს დიპლომები, რომლებსაც მუზრუკოვის ხელმოწერა ამშვენებდა, დაბეჭდილია საფირმო ბლანკებზე, რომლებსაც მნიშვნელოვანი ქუდი აქვთ — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის ინსტიტუტის გამაჯანსაღებელი სისტემების შესწავლის ცენტრი! ფაქტობრივად ეს დიპლომები მომაჯადოვებლად მოქმედებდა სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელ ინსტანციებში. ამასთან, დიპლომების მფლობელებს საშუალება მიეცათ აბუჩად აეგდოთ კონკურენტი კოოპერატივები, რომლებსაც ასეთი ქაღალდი არ გააჩნდათ. დიპლომების მფლობელებისგან ჩამოყალიბდა **გსშც**-ს ფილიალების ქსელი, რამაც საშუალება მისცა მუზრუკოვს დემაგოგიურად ემტკიცებინა, რომ „**გსშც** აერთიანებს უშუ-ს ყველა კლუბს სსრ კავშირში“. მაგრამ ცენტრი თავის ფილიალებსაც კი არ ამარაგებს რაიმე მეთოდური ინფორმაციით, ზემოხსენებული ბროშურის გარდა. თუმცა ეს ხელს არ უშლის **გსშც-ს** მოითხოვოს და მიიღოს უშუ-ს კოოპერატივებიდან შემოსავლის საგრძნობი წილი „მეთოდური დახმარებისთვის“.

**ამჟამად მუზრუკოვი, რომელიც თავისი ფილიალების წარმომადგენლების კონფერენციამ აირჩია ტანვარჯიშ უშუ-ს სსრ კავშირის ფედერაციის მუშა პრეზიდიუმში, თავისი მოქმედებით უფრო შორს წავიდა უშუ-ს მოძრაობის დისკრედიტაციის საქმეში. მას შემდეგ, რაც 1988 წლის 9 ნოემბერს სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. რუსაკმა ხელი მოაწერა ფედერაციის დროებით წესდებას, მან თავისი გვარი მიაბეჭდა სატიტულო გვერდს, მოაწერა ხელი და შემდეგ დაამოწმა გსშც-ს ბეჭდით, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ფედერაციასთან. ეს დოკუმენტი გამრავლდა და გაიგზავნა მთელ ქვეყანაში, რათა დაერწმუნებინა მოწინააღმდეგეები გსშც-ს უფლებების ძალაში.**

ამას უფრო საკვირველი ამბები მოჰყვა. მუზრუკოვმა ინსტიტუტის აპარატურაზე დაამზადა ბლანკი „ტანვარჯიშ უშუ-ს სსრ კავშირის ფედერაცია“ და დააგზავნა ცირკულარი № 031-ფ 5.12.88, რომლის ადრესატებიც იყვნენ რესპუბლიკური და საქალაქო სპორტკომიტეტების წარმომადგენლები. ამ ყალბი ცირკულარით, სადაც კვლავ იყენებს ბლანკის ძალას, იგი მოითხოვს, რომ 1988 წლის 26 დეკემბრამდე (!) შეიქმნას უშუ-ს რესპუბლიკური და საქალაქო ფედერაციები, ამასთან, დაჟინებით მოითხოვს იმასაც, რომ პრეზიდიუმების თავმჯდომარეებად დაინიშნონ მისი წარმომადგენლები. მაგრამ არც ეს არის ცენტრის ხელმძღვანელის ამბიციისა და არაკეთილსინდისიერების ზღვარი. ერთი თვის წინ მუზრუკოვი **გსშც**-ს ბლანკით სპორტსახკომის საერთაშორისო განყოფილებაში აგზავნის წერილს, სადაც რეკომენდაციას უწევს საკუთარ თავსა და **გსშც-ს** სამ თანამშრომელს ტანვარჯიშ უშუ-ს სსრ კავშირის ფედერაციის სახელით ჩინეთში გასამგზავრებლად. როცა იგი ჩემი მხრიდან, როგორც ფედერაციის პრეზიდენტისგან წინააღმდეგობას წააწყდა, მუზრუკოვმა გააკეთა ჩემი ყალბი ხელმოწერა და ქაღალდს მსვლელობა მისცა.

ადრე თუ გვიან ყოველგვარ საიდუმლოს ეხდება ფარდა და მინდა მჯეროდეს, რომ არა მარტო ფედერაცია, არამედ ტანვარჯიშ უშუ-ს მთელი მოძრაობა საბჭოთა კავშირში [illegible] ტრიუკებისაგან. ძალზე გასახარია სსრ კავშირის სპორტსახკომის პოზიცია, რომელმაც 12 დეკემბერს ნ. რუსაკოვის ხელმოწერით გასცა მითითება, რომ „წერილი №031-ფ 5.12.88 მუზრუკოვის ხელმოწერით ჩაითვალოს ძალადაკარგულად“ და შემდეგ **„სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის ინსტიტუტის გამაჯანსაღებელი სისტემების შესწავლის ცენტრის მიერ გაცემული ტანვარჯიშ უშუ-ს სწავლების უფლების მოწმობები ჩაითვალოს გაუქმებულად“.**

ამჟამად სსრ კავშირის სპორტსახკომმა ტანვარჯიშ უშუ-ს ფედერაციასთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, მოხდეს ფედერაციის პრეზიდიუმის რეორგანიზაცია, შექმნას მის ბაზაზე ორგბიურო, რომლის შემადგენლობაში შევლენ აგრეთვე სპორტსახკომის, საკავშირო ალკკ, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, საბჭოთა და რიგი უწყებების წარმომადგენლები. ორგბიუროს დაევალება შეიმუშაოს ფედერაციის მუდმივი წესდების პროექტი, დელეგატების არჩევის წესი, ტანვარჯიშ უშუ-ს განვითარების პროგრამა, შეჯიბრებების ჩატარების წესები, დებულება ინსტრუქტორების შესახებ. ფედერაციის ორგბიურო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, მომავალი წლის აპრილის ბოლომდე მოამზადებს და გამართავს უშუ-ს საკავშირო კონფერენციას, სადაც აირჩევა პრეზიდიუმისა და ფედერაციის საბჭოს ახალი შემადგენლობა და დამტკიცდება მუდმივი წესდება.

**გიორგი სვირიდოვი,**
**„სპორტივნაია მოსკვა“, №1, 1989 წ.**

## დაწინაურდა ერევნელი სტუმარი

**ახალგაზრდა** ოსტატთა საკავშირო პირველობაზე, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში წრიული სისტემით ტარდება, გათამაშდა მესამე ტურის შეხვედრები.

ამ ტურში მხოლოდ ორი პარტია გამოდგა შედეგიანი (დაუტოვი-სავჩენკო — 1:0, ნევეროვი-აკოფიანი — 1:0). დანარჩენ პარტიებში დაზავდნენ გიორგაძე-ეპიშინი, სერპერი-როზენტალისი, შიროვი-ანასტასიანი, ოლი-შაბალოვი, ულიბინი-დრეევი და ტიმოშენკო-რუბანი.

შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. **I ტური:** გიორგაძე-ანასტასიანი — 0:1, დაუტოვი-დრეევი — 1:0, შიროვი — შაბალოვი — 0,5:0,5; **II ტური:** ანასტასიანი-სერპერი — 1:0, როზენტალისი-გიორგაძე — 1:0, რუბანი-ულიბინი — 0,5:0,5.

3 ტურის შემდეგ 2,5 ქულით დაწინაურდა ერევნელი საერთაშორისო ოსტატი აშოტ ანასტასიანი. შემდეგ მოდიან ვალერი ნევეროვი (კიევი), რუსტემ დაუტოვი (მინსკი), ლემბიტ ოლი (ტალინი), ალექსანდრე შაბალოვი (რიგა), ედვარდ როზენტალისი (ვილნიუსი), ვლადიმერ აკოფიანი (ერევანი).

**თამარ ხუჯაშვილი,**
**საერთაშორისო ოსტატი.**



მიმდინარეობს მორიგი ტური — ჯ. კასრაძის ფოტო.

## ...და ერთი გოგონა

**სამტრედიის** საჭადრაკო კლუბში სტარტი აიღო ვაჟთა 49-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალურმა შესარჩევმა შეჯიბრებამ, რომელიც შვეიცარიული სიტემით, 11 ტურად ჩატარდება და 8 თებერვლამდე გასტანს. მასში მონაწილეობს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სამოცდაათი თანრიგოსანი მოჭადრაკე, რომელთა შორისაა ერთი ოსტატი გოგონა — სოფიკო ტერელაძე.

დებულების თანახმად, ოთხი გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს I ლიგის ტურნირში, რომელიც მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან გაიმართება ქუთაისში.

დღეისთვის გათამაშებულია 3 ტურის შეხვედრები. 3-3 ქულით ლიდერობა ხელთ იგდეს ქუთაისელმა ოსტატობის კანდიდატმა ალეკო არსენიძემ და სამტრედიელმა ალეკო ვაშაკიძემ. 2,5-2,5 ქულით ლიდერებს კვალში მიჰყვება მონაწილეთა დიდი ჯგუფი: რომან სიჭინავა (ცხაკაია), ფირუზ ცაგარეიშვილი (ვანი), დათო ტიკურიშვილი (რუსთავი), სერგო მინასიანი, რევაზ დადიანი (ორივე —სოხუმი), ალეკო იოსელიანი, კახაბერ ხაბურზანია (ორივე — თბილისი), შოთა კუჭუხიძე, ტარიელ მოდებაძე (ორივე — ქუთაისი), მერაბ არჩვაძე, ბორის ჩაბრაძე, ნიკოლოზ ლეკვეიშვილი (სამივე — სამტრედია). სოფიკო ტერელაძემ 2 ქულა მოაგროვა.

**ბექან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**
**(ტელეფონით).**

## ყაიმი პირველ პარტიაში

**სიეტლი.** ამერიკის ამ ქალაქში დაიწყო მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩი ჭადრაკში ანატოლი კარპოვსა და იოჰან ჰიარტარსონს (ისლანდია) შორის.

პირველი პარტია, რომელშიც თეთრი ფიგურებით ისლანდიელი დიდოსტატი თამაშობდა, მე-15 სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

## დაინიშნება დამატებითი მატჩი

**კანადის** ქალაქ კვებეკში გათამაშდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩის მეექვსე პარტია არტურ იუსუპოვსა და კევინ სპრაგეტს (კანადა) შორის. იგი 34-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, საბოლოო ანგარიშია 3:3. გამარჯვებული მაინც არაა ცნობილი, და ამიტომ, დებულების თანახმად, მის გამოსავლენად დაინიშნება დამატებითი ორი პარტია. თუ ისიც საყაიმო ანგარიშით დამთავრდება, მაშინ მატჩი გაგრძელდება პირველ მოგებამდე.

## ჩემპიონია ცირა მერეკლიშვილი

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი.

შესანიშნავად იასპარეზა ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა ცირა მერეკლიშვილმა, რომელმაც მთელი შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო და 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით დამსახურებულად მოიპოვა თბილისის ჩემპიონის სახელი.

გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილს დასჯერდა ოსტატობის კანდიდატი ლია სადუნიშვილი.

6,5-6,5 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა გიული ალიხანაშვილმა და მაია ხუციშვილმა. უკეთესი კოეფიციენტის გამო III საპრიზო ადგილი გ. ალიხანაშვილს მიეკუთვნა.

6 ქულით V ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი ნინო ღლონტი.

დებულების თანახმად I-II ადგილებზე გასულმა მოჭადრაკეებმა საქართველოს პირველობის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, ხოლო III-V ადგილების მფლობელნი ნახევარფინალში ითამაშებენ.

## საფეხბურთო კავშირის შექმნის წინ

**ჩვენს** სპორტულ საზოგადოებრიობას, რა თქმა უნდა, აინტერესებს როგორ მიმდინარეობს სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის შექმნის საქმე.

გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ იუწყება, რომ სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის შექმნის პრობლემებზე მუშაობდა დამფუძნებელი კონფერენციის მიერ შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან მოკავშირე რესპუბლიკების, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა წარმომადგენლები. კომისიის გადაწყვეტილება ისაა, რომ ჩვენი საფეხბურთო კავშირი უნდა იყოს დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაცია, რომელსაც ექნება შესაბამისი იურიდიული რწმუნებანი და ფინანსური ბაზა. შემუშავებულია კავშირის ახალი დებულება, იგი კორექტირებისთვის გადაეცა სპეციალისტებს, ეკონომისტებს, იურისტებს.

## არმიელთა ტურნირზე

**მოსკოვის** ცსკა-ს დახურულ სპორტკომპლექსში დამთავრდა მეგობრული არმიების საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა არმიელთა გუნდი ცსკა და გდრ-ის „ფორვერტსი“. მატჩი მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:0.

## „სპორტლოტო“

**მოსკოვში,** 29 იანვარს გაიმართა „სპორტლოტოს“ მე-5 ტირაჟები.

„6-45“-დან: 12, 16, 18, 33, 41, 44.

„5-36“-დან: 12, 19, 21, 25, 36.

## „სპორტპროგნოზი“

**05 ტირაჟის შედეგები**
**(28-29 იანვარი)**

1-2, 2-2, 3-1, 4-X, 5-X, 6-2, 7-2, 8-X, 9-X, 10-X, 11-X, 12-X, 13-X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93_97_55,**
**სამდივნო — 93_97_52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93_97_53,**
**„მერანი“ — 93_97_26, „მართვე“ — 93_97_27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10341